ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2507440

ნომერი: AR1385752

თარიღი : 18.03.2016

გაცემის თარიღი : 29.03.2016

გაცნობის თარიღი : 29.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფშიძე , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კუხალაშვილი პ/ნ 01030018544
- დ.აღმაშენებლის 75

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1664.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2016 წლის 18 მარტის AR1385752 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო გეგმით #01.14.14.002.069 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული მდგომარეობით (მშენებარე შენობა–ნაგებობა) უკვე გადაჭარბებულია მიწის ნაკვეთის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები, შესაბამისად საკითხი უნდა განიხილოს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“–მ, რისთვისაც მოთხოვნის ტექსტის შესაბამის დახარვეზებულ ველში უნდა დააზუსტოთ არსებული (დღევანდელი მდგომარეობით) და საპროექტო კოეფიციენტები და დამატებითი დოკუმენტის ველში უნდა ატვირთოთ შესაბამისი სრული დასაბუთება.

დასაბუთება უნდა მოიცავდეს დეტალურ ანალიზს ავტოფარეხების და ბინების რაოდენობის შესაბამისობის გათვალისწინებით.

-

გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა დამატებითი დოკუმენტის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩება განუხილველი. ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.